საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

25 ნოემბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 53

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ უზურფუქტის ფორმით სარგებლობაში გადასცეს 2 წლის ვადით ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ამბულატორიები :

1) 47.04.32.094 - სოფელი მედანი ; ღირებულება -76.000 ლარი;
2) 47.03.34.343 - სოფელი მიქავა; ღირებულება -46.000 ლარი;
3) 47.05.31.114 - სოფელი მუჟავა; ღირებულება -83.800 ლარი;
4) 47.06.36.257 - სოფელი ნაკიფუ; ღირებულება -76.300 ლარი;
5) 47.08.37.320 - სოფელი საჩინო; ღირებულება -33.250 ლარი;
6) 47.10.36.018 - სოფელი ჩქვალერი; ღირებულება -110.500 ლარი;
7) 47.12.34.276 - სოფელი ჭალე ; ღირებულება - 81.750 ლარი;
8) 47.13.35.342 - სოფელი ჯგალი; ღირებულება -101.900 ლარი;
9) 47.12.32.042.01.501 - სოფელი ჭალე (ფოცხო) (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი); ღირებულება -40.000 ლარი;

2.განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ავთანდილ გაბელია**